საპროექტო ტერიტორიის
პირველადი ისტორიულ-არქიტექტურული
კვლევა

ბოროდინოს ქ. №22



თბილისი
2012

საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა და უბნის ისტორიულ – არქიტექტურული განვითარება

საპროექტო ტერიტორია ბოროდინის და წერეთლის ქუჩების კვეთაზე მდებარეობს №22/9 მდებარეობს, დღეს კი ტერიტორია თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვით ზონაში – ძველი თბილისის განვითარების შეზღუდვის ზონაში, ხოლო ისტორიულად აგლაბარის უბნის.

ამჟამად აგლაბარი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე განლაგებული ერთ-ერთი რაიონია. თავდაპირველად იგი ისნის (მეტეხის) ციხე-ხიდაგრეს მიკედლებულ უგალავნო ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც XVIII საუკუნის II ნახევარში, ერეკლე II-ის მეფობის ხანაში შემოიზღუდა გალავნით. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „აგლაბარი" XIV საუკუნიდან გავრცელდა (პირველი წერილობითი საბუთი სადაც მას მოიხსენიებენ 1392 წლით თარიღდება). სიტყვა „ჰავალი" არაბულად მიდამოა, ხოლო „ბარე" ზღუდეს, გალავანს ნიშნავს. მაშასადამე „აგლაბარი" გალავნის იქით მიდამოს, გარეუბანს გულისხმობდა.



პლატონ იოსელიანის ცნობით, აგლაბარში XV ს-ში სახახლეები ჰქონიათ სამეგრელოსა და გურიის მთავრებს. ასევე თბილისის 1785 წლის გეგმაზე აქ გალავანზე აღმართა დარეჯან დედოფლის სახახლე – „სახინო".

აგლაბარში სახლობდნენ მეფის, თავადაზნაურთა და საეკლესიო ყმა-გლეხები. განვითარებული იყო ხელოსნობა. აქ ქართველებთან ერთად სომხები, სპარსელები,

XVIII საუკუნეში ლეკთა თარეშის გამო ავლაბარი თითქმის დაცარიელდა, რადგან ლეკები თბილისს უმეტესად ამ მხრიდან ესხმოდნენ, ხოლო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს (1795 წ.) ავლაბარი თითქმის მთლიანად განადგურდა.

1800 წელს პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილი თბილისის გეგმა გვიანფეოდალური პერიოდის დაგეგმარების დადგენის საშუალებას იძლევა, რადგან მასზე განსხვავებული ფერითაა გამოყოფილი ის უბნები და ნაგებობები, რომლებიც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს განადგურდა. შიდაავლაბრის დაგეგმარება მკვეთრად განსხვავდებოდა თბილისის სხვა ნაწილების ქუჩათა ქსელისგან. იგი ერთგვარად რეგულარულ ხასიათს ატარებდა.

ძირითადი ქუჩები მეტეხის კლდის სწვრივის პარალელურად გადიოდა, ხოლო მთავარი ქუჩა (დღევანდელი მეტეხის) მათ ოდნავ ირიბად ჰკვეთდა. ეს ქუჩა იწყებოდა კარიბჭესთან, (ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან გზების შესაყარზე) და განივად ჰკვეთდა უბანს. გარეთავლაბარი კი ქუჩების ქაოტურ ხლართს წარმოადგენდა.



მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანმა ბევრი ცვლილება განიცადა, დღემდეა შემორჩენილი გვიანფეოდალური ქალაქის ქუჩათა ქსელი და ძველი განაშენიანების კვალი – ისტორიული ციხესიმაგრის ნაშთები, გვიანფეოდალური პერიოდის დამცავი კედლები, დარეჯანისეული სასახლე, XIX-XX სს-ის საცხოვრებელი სახლები, ძველი სარდაფები და სხვა. მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია განაშენიანების მასშტაბი და თავისებურებები. ქალაქის ამ ნაწილის ძირითად მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს მეტეხის აღმართის, მეტეხის კლდის, მეტეხის ქუჩისა და ჯორბენაძის ქუჩათა განაშენიანება განსაზღვრავს.

ავლაბარზე იშლება ვრცელი პანორამა თბილისის სხვადასხვა კუთხიდან. მის ურბანულ სახეს დღეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამების კათედრალური

ტაძრის დომინანტი, რომელიც მთელი გარემოს განაშენიანების წამყვან ორიენტირად იქცა.

ბოროდინოს №22 ძველი განაშენიანების ნაწილია, რომელსაც შერჩენილი აქვს ისტორიული ნაგებობისთვის დამახასიათებელი დეტალები, ნაგებობა ერთსართულიანია, ნაშენია აგურით. კარის თავზე განთავსებულია რკინის წინფრა. ქუჩის მხარეს მიმართული ფასადი არ გამოირჩევა მხატვრულობით, ხოლო ეზოს მხარეს მიმართულ ნაწილზე ჯერ კიდევ ჩანს ხის შუშაბანდის კვალი. მიუხედავად ამ დეტალებისა, სახლი მეტად გარეუბნისთვის დამახასიათებელ სახეს ატარებს, ვიდრე ქალაქის ცენტრალური ნაწილის არქიტექტურა. მთლიანობაში ნაგებობა მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია და ამასთან არ გააჩნია ძეგლის სტატუსი, რის გამოც განზრახულია მისი ჩანაცვლება ახალი მოცულობით.





აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ისტორიული ქუჩების მასშტაბი ძირითადად მაღალი, ორ ან სამსართულიანი სახლებით განისაზღვრება, ხოლო ბოროდინოსა და წურწუმიას ქუჩათა გადაკვეთაზე მდებარე ერთსართულიანი ნაგებობა რამდენადმე „ამოვარდნილია“ საერთო მასშტაბიდან და მიმდებარე ძეგლებზე (ბოროდინოს №13, წურწუმიას №11) გაცილებით დაბალია.





რეკომენდაციები

ბოროდინოს №22, წურწუმიას №9-ში ძველის ნაცვლად ახალი მოცულობის დაპროექტება უნდა მოხდეს შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

- სახლის ჩანაცვლება შესაძლებლად მიმაჩნია, რადგანაც ნაგებობას არ გააჩნია ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის სტატუსი, და განსაკუთრებული მხატვრული ღირებულება. ამასთან, ის მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია.

- ახალი მოცულობა თავისი მასშტაბით არ უნდა აღემატებოდეს ისტორიულ ქუჩაზე არსებული ძეგლების სიმაღლეს.

- ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული იერი შესაბამისი უნდა იყოს ავლაბრის ამ მიკროუბნის და ზოგადად თბილისის ისტორიული ცენტრის განაშენიანებისა, რისთვისაც მისი ფასადი უნდა გაილესოს და მასზე გამოიკვეთოს არქიტექტურული ელემენტები, ან შესრულდეს აგურში, რაც ასევე დამახასიათებელია მიკროუბნისათვის.

ხელოვნებათმცოდნე ლალი ანდრონიკაშვილი